კვირა, 1918 წ. აპრილის 8 (21) № 76

წელიწადი მეოთხე

ფასი თბილისში და პროვინციაში 30 კაპ. რკ. გზის სადგურებზე 35 კაპ.

საქართველო

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის გვარი და მისამართი. უსახელოთ გამოგზავნილი მასალა უყურადღებოდ დარჩება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას არ ინახავს და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეებზე რედაქტორთან პირადად მოლაპარაკება შეიძლება ამავე დროს.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5 ქართული ქარვასლა. ფოსტის ყუთი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ, Сакартвело.

კონტორა

პირველ აპრილიდან ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ღირებს—18 მ. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 6 მ. და 50 კ. ცალკე № 30 კ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 50 კაპ. უკანასკნელზე—30 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. ხანგრძლივათ განცხადება თითოეულ ზომით: 15×2—10 მანეთი, 20×2—13 მანეთი, 30×2—15 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს ქალაქში 1 მან. ქალაქს გარეთ 1 მ. და 50 კ. ფული და წერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილი იქნას არა უგვიანეს $1\frac{1}{2}$ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათ.

ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—7

ღრმად შეწუხებულნი ძმები პოლიკარპე და ალექსანდრე კონსტანტინეს ძენი იოსელიანები, დები ექიმი მარიამ კონსტანტინეს ასული იოსელიანი, ასინეთა კონსტანტინეს ასული ლომინაძისა, ელენე კონსტანტინეს ასული მიანსაროვისა, დედის და ეფროსინე ქადარიასა, ბესარიონ იოსების ძე ლომინაძე, ნიკოლოზ პეტრეს ძე იოსელიანი და არშაკ ამირაგის ძე მიანსაროვი გულითად მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს

ნიკოლოზ კონსტანტინეს ძის
იოსელიანის

გარდაცვალებას.

პანაშვიდი ყოველ დღე 6 საათზედ, მელიქოვის ქუჩა № 18. გამოსვენება საკუთარ ბინიდან კვირას, 8 აპრილს, დილის 10 საათზე, ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში მოხდება დაკრძალვა.

(1—1578—1)

კვირას, აპრილის 8-ს, ქაშვეთის წმიდა გიორგის ეკლესიაში, გარდახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი

მიხეილ მელიტონის ძის
ყანჩელის

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ჭირისუფალნი: მეუღლე ნინა ნიკოლოზის ასული, შვილები: ლადო, საშა, ვოლოდია, ნიკო, კონსტანტინე, დათიკო და გიორგი, ძმა მისი გიორგი, ცოლის და ანნა და ქვრივი იოსებ იმედაშვილისა.

1—1579—1

ნატალია იგნეს ასული ციცქიშვილი გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთ და მეგობართ, რომ დღეს ნაშუადღევს 1 საათზედ ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი ძვირფას და დაუვიწყარ დის

მატო (მარგარიტა)
ციცქიშვილის

სულის მოსახსენებლად.

კეთილშობილი წერეთელი

წერეთელი ლაპარაკობს... ისმინეთ მოდიან! ასეთია დღეს ჩვენი საშინელი მდგომარეობა. იმ დროს, როდესაც საჭიროა სასწრაფო ზომები ქვეყნის სახსნელად, როცა საჭიროა ყოველისა მსხვერპლი საქართველოს ხსნისთვის, საქართველო თვით ხდება მსხვერპლი მსოფლიო მასშტაბის იმ „დიდ განზრახვებისა", რომლებიც მწიფდებიან ამ ქამად რუსეთის რევოლუციის მელიდის თავში. გამოცოცხლება რევოლუციონური ენერგიისა აქ—საქართველოში, რომელიც ჩაჰკლეს ბოლშევიკებმა იქ—რუსეთში, გაჩაღება, აქ, საგარეო ომისა, რომელიც რუსეთსაც ხელ ახლავე ჩაითრევს გერმანიასთან ომში, აღდგენა გაერთიანებულ რევოლუციონურ დემოკრატიულ ფრონტისა ყველგან რუსეთში და აღორძინება ახლავე რევოლუციისა, მერე რევოლუცია გერმანიაში, საფრანგეთში, ინგლისში და სულ ბოლოს თვით სოციალიზმი, აი, ის საუცხოო ვარდის ბუჩქი, რომელიც ყვავის წერეთლის თავში და რომელსაც ეკლებად ჯერ-ჯერობით ის მალების ხიწტები აქვს.

იმ დროს, როდესაც მტერი შიგ ქვეყანაშია შემოჭრილი, როდესაც მტერს უკავია ყველა ჩვენი სტრატეგიული პუნქტები, როდესაც მთელი საქართველო ჩაკეტილია და ხუფ დახურულ ქვაბსა ჰგავს, რომელშიაც შიმშილისა და ანარქიის ვნება სდუღს, საქართველო უცნაური ვაჟკაცობის პარტიზანული ხვენება და ვიღაცაც სურს იმ ნაპირად გამოცხადება, ის, საიდანაც შესაძლებელია რუსეთის ანარქიის ზღვაში მაღლა გადაგდება, რომელსაც უსათუოდ ის თავზე უნდა მოჰყვეს, რასაც წერეთელი და მისი რუსი მეგობრები „ღრმა ძირებულ რუსეთს" უწოდებენ. აი, კეთილშობილი იდეა და დიდი მიზნები! ამ კეთილშობილებაში და მიზნების სიდიდეში წერეთელი მარტო არ არის. საქართველოში უკვე იყრიან თავს რუსულ მენშევიზმის ნატეხები. ხომ ერთი დილით, ანქთანოვი მოდიან ჩერნოვი და მაქსიმ გორკიც.

და ეს დაღალული და დაქანცული ადამიანები, რომლებიც ამდენს ეშმაკობენ რევოლუციის საქმეს, ალბად იგივე ფიქრობენ, როგორც წერეთელი. ალბად მათაც ისევე ჰგონიათ, როგორც წერეთელს, რომ საქართველო ის ფორტია, რომელიც დაუბრუნებს მათ ყველა დაკარგულ პოზიციებს და თვით რუსეთსაც. და სწორედ დღეს არის დრო მოვიგონოთ რუს-სოციალისტ მარტოვის სიტყვაც, წარმოთქმული ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების შესახებ—რომელშიაც ნათლად გამოიხატა ახალი საშინაო და საგარეო ტაქტიკა დამარცხებულ რუს მენშევიკებისა. არა აქ საქართველოში, და არა დღეს, არამედ იქ, რუსეთში და ჯერ კიდევ ორი თვის წინად მარტოვმა უკვე აცხადებდა, რომ კავკასია არას გზით არ შეურიგდება ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებას და ბრძოლა რუსეთის აღორძინებისთვის კავკასიიდან დაიწყებაო.

და წერეთლის ცდაც, ჩაითრიოს საქართველო ომში, ცდა არის გამოწვეული არა თვით საქართველოს საარსებო ინტერესებით, არამედ ცდა რუსეთის ხსნისა და კეთილდღეობისათვის. ადამიანი, რომელმაც მთელ რუსეთისაგან „კეთილშობილის" სახელი დაიმსახურა, იქნება მოვალეც არის ასე მოიქცეს. მაგრამ ჩვენ გვაკვირვებს ერთი გარემოება: ამ ადამიანს სულ არავითარი სურვილი არ ჰქონია დაიმსახუროს იგივე სახელი თავის საკუთარ ქვეყნისგან. დე, ჩაუფიქრდეს ამას წერეთელი.

შ. ამირეჯიბი.

ეროვნული პოლიტიკა

II

დღეს ჩვენ არ შევეხებით იმ მძლავრ ეკონომიურ-კულტურულ მიმდინარეობას, რომელმაც დასავლეთით უნდა გადმოისროლოს ჩვენი ქვეყანა და რომელიც შექმნის ჩვენს ორიენტაციას, შესაძლოა, ჩვენდა დაუკითხავად. თუ ეხლა მაინც გამოიჩინეს მცირე პოლიტიკური გამჭრიახობა და გონიერება ჩვენმა მეთაურებმა, ამ ძალას შეუთანხმებენ და შეურიგებენ თავის მოქმედებას, ვინაიდან მასთან წინააღმდეგობა იქნება უშედეგო და მხოლოდ საზიანო ჩვენთვის. ამაზე შემდეგ.

დღეს საჭიროა გავიხსენოთ სოციალ-დემოკრატიული „ობლასტნოი კომიტეტი", რომელიც, ვგონებ, ხუთი დღეა იკრიბება „ერთობის" რედაქციაში ამიერ-კავკასიის მთავრობის საგარეო და საშინაო პოლიტიკის გადასასინჯად.

საზავო დელეგაცია მეხუთე დღეა ჩამოვიდა ტრაპიზონიდან და დღემდის არ წარმდგარა სეიმის წინაშე, რომელმაც ის ტრაპიზონში გაგზავნა, საქართველოს ეროვნული საბჭოც ტყვილა იყო ამ ხნის განმავლობაში ჩვენი საგარეო საკითხის ხელ-ახლა გადასინჯვის მოლოდინში განზრახულ... ჩვენი პოლიტიკის დამახასიათებელი თვისებაა, რომ ყოველი მნიშვნელოვანი პოლიტიკური აქტი მენშევიკების საოლქო კომიტეტიდან უნდა მოიგზავნებოდეს. ისე ვერ იხილავს ის სამინისტრო, ისე თუ საბჭოებს და თუ იხილავს, სულ მცირე ხნით—უფრო ყოფილი და ფორმალური იქნება.

ამით აიხსნება, რომ, როდესაც ობლასტნოი კომიტეტის პოლიტიკური მიზნობრიობა ძნელდება, სეიმის წევრები ყოველ დღე შეიყრიან დანიშნულ საათზე სასახლეში და გულ-ნატკენი უკან ბრუნდებიან და სიცოცხლე საქართველოს ეროვნული საბჭოც მოუთმენლად ელის, როდის სოციალ-დემოკრატების კომიტეტში საქართველოს ბედი და ამის შესახებ როდის ამცნობენ მას.

ამ ხუთი დღის განმავლობაში, როდესაც საოლქო კომიტეტში ზავის და ომის საკითხი სწყდება, ჩვენი საზოგადოება მეტად ნერვიულ მდგომარეობას განიცდიდა. მის წარმოდგენაში რამოდენიმეჯერ დაემხო სამინისტრო და ახალი შედგა, რადიკალურად შეიცვალა პოლიტიკური კურსი, განახლდა საზავო მოლაპარაკება და ზავიც კი ჩამოვარდა... როგორი იქნება მისი გაოცება, როდესაც გაიგონებს იმ პოლიტიკურ ნაყოფს, რომელიც მოჰგვარა სოციალ-დემოკრატების ხუთი დღის გაწამებულ შემოქმედებას.

„ვაწარმოვოთ თავდაცვა და დავამყაროთ მთავრობამ მტკიცე ზავის ჩამოგდება"—აი იმ დადგენილების შინაარსი, რომლის მოლოდინში თითქოს სრულიად შეჩერდა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური მაჯის ცემა. არა, ვინ იტყვის იმის წინააღმდეგ, რომ ეს რეზოლუცია ფეხებით სიარული და არა თავით. რასაკვირველია, საოლქო კომიტეტის ასეთი ბრძნული დადგენილება ფრაქციათა და პარტიათა შეხლა-შემოხლას არ გამოიწვევს და, შესაძლოა ერთხმად იქნება მიღებული, ვინაიდან ის არსებითად არაფერს არ ამბობს და ჩვენი ქვეყანა რამდენიმე ხანს კიდევ დარჩება გულუბრყვილო იმედით შეპყრობილი, რომ მას ჰყავს მთავრობა, რომელიც სახიფათო სინამდვილეს ხედავს და თავის პოლიტიკას თვალახვეული არ ჰქმნის.

საოლქო კომიტეტს ყველა ისე მოწიწებით არ ეპყრობა, როგორც ჩვენ ქართველები. ჩვენი მეზობლები ყოველ საკითხს უწინარესად თავის ეროვნულ საბჭოებში სჭრიან, თუმცა მათ კარგად იციან, რომ მათი დადგენილება ცარიელ სიტყვად რჩება, როდესაც ის მენშევიკურ კურსს სცილდება. ჩვენ მეზობლებს ალბად ჯერ კიდევ სწამთ, რომ ერთს პარტიას და ერთს კომიტეტზე უფრო მაღლა დგას ყველა პარტიები და მთელი ერი. ეხლაც გამგზავრებულან ალექსანდროპოლში სომხების დელეგატები თავის ეროვნული საბჭოს დასაკითხავად შესახებ შექმნილი მდგომარეობისა, თუმცა მათაც ჰყავთ აქ, თბილისში კომიტეტები და პარტიები.

უკვე საცნობია გამოირკვა, რომ მთავრობის და სეიმის გადაწყვეტილება შესახებ საზავო მოლაპარაკების შეწყვეტისა და დელეგაციის გამოწვევისა, რასაც მოჰყვა ოსმალეთის მხრივ საომარი მოქმედების განახლება ყველა თავისი მძიმე შედეგებით, იყო ნაჩქარევი და შემცდარი ნაბიჯი. თუმცა ეს დაჟინებით მოეჩვენება ბევრს, მაგრამ ფაქტია, რომ მთავრობა არ ყოფილა საზავო მოლაპარაკების კურსში და მას ვერ გაუთვალისწინებია საზავო დელეგაციის უკანასკნელად გადადგმული ნაბიჯის შედეგები. ჩვენი დელეგაცია იძულებული გახდა, დაეთანხმებულიყო, რომ საზავო მოლაპარაკების საფუძვლად ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება დაედვათ, მაგრამ ამაზე ის დათანხმებულა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ოსმალეთის დელეგაციასთან ერთად ხელშეკრულების ოფიციალური ტექსტის განხილვით და განმარტებით გაუთვალისწინებია ამ ნაბიჯის მოსალოდნელი შედეგები. ჩვენ უნდა გაგვეყვანა ჯარები ბათუმის, ყარსის და არტაანის ოლქებიდან, მაგრამ ეს კიდევ არ მოასწავებდა ამ ოლქების საბოლოოდ ოსმალეთის ხელში გადასვლას. საკითხი საბოლოოდ უნდა გადაჭრილიყო ადგილობრივი მცხოვრებლების დაკითხვით და ოსმალეთთან და მის მოკავშირეებთან შეთანხმებით. რასაკვირველია, მცხოვრებთა დაკითხვა იქნება დიდად საიმედო არ იქნებოდა ჩვენთვის, თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, თუ როგორ პირობებში მოხდებოდა ეს დაკითხვა, მაგრამ ოთხთა კავშირის ინტერესები ჩვენს ქვეყანაში არ განისაზღვრება ტერიტორიალური ცვლილებებით, მას ამიერ-კავკასიაში სხვა, მისთვის კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ინტერესები აქვს და ეს ინტერესები უკარნახებენ მას, რომ დაერიდოს ისეთს ცვლილებებს, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში მისდამი უნდობლობას და მტრულ განწყობილებას შექმნის. რასაკვირველია, იარაღით ამიერ-კავკასიის დაპყრობა დიდს სიძნელეს არ წარმოადგენს გამარჯვებულ კოალიციისთვის, ხოლო ცეცხლით და მახვილით ქვეყნების დაპყრობას არამც თუ კულტურული ერები, არამედ ველური ტომებიც არ ისახავენ მიზნად, არამედ ერთი-ერთ საშუალებად რომელიმე მიზნის განსახორციელებლად.

ამიერ-კავკასიის დამოუკიდებლობა უნდა გამოეცხადებინა, რაც საფუძვლით აკმაყოფილებდა ოსმალეთის საზღვრო თვალსაზრისით, ვინაიდან ამით მას საიმედო და მშვიდობიანი საზღვარი უჩნდებოდა ყოველ ჩრდილოეთით. დამოუკიდებელ კავკასიის ტერიტორიის საბოლოო განსაზღვრა კი სამხრეთით უნდა მომხდარიყო ამიერ-კავკასიის ოთხთა კავშირის სახელმწიფოებთან შეთანხმებით. საბოლოო შეთანხმების დროს სასწორზე იქნებოდა დადებული არა მარტო ოსმალეთის სურვილები, არამედ, აგრეთვე ის ინტერესებიც, რომელსაც ხედავენ ჩვენს ქვეყანაში სხვა სახელმწიფოები. მსოფლიო ომი ჯერ კიდევ არ დამთავრებულა. ჩვენს ქვეყანას ფრიადსა სტრატეგიული და ეკონომიური მნიშვნელობა აქვს ოთხთა კავშირისთვის, რომელიც ლამობს სამხრეთ აზიაში გამაგრებულ ინგლისის დამხობას. შესაძლოა ამიერ კავკასიით კასპის ზღვაზე და ავღანისტან-ბელუჯისტანის ხაზის გამო ინდოეთისკენ უფრო მნიშვნელოვანი იყოს ოთხთა კავშირისთვის, ვინემ რომელიმე ოლქი და ქალაქი. ნავთი, მარგანეცი, სპილენძი—სწორედ ის პროდუქტებია, რომლებიც ყველაზე უფრო საჭიროა ომის წარმოებისთვის და ყველაზე უფრო აკლია ამ კოალიციას. ეს მასალა ბლომად მოიპოება ჩვენს ქვეყანაში. ნუ თუ ყოველივე ამას ნაკლები მნიშვნელობა ექნება საბოლოოდ საკითხის გადაჭრის დროს?

ადვილია იარაღით ჩვენი ქვეყნის დაპყრობა, მით უმეტეს, როდესაც მას ასეთი ხელმძღვანელები ჰყავს, მაგრამ აქ მოსაწყობისა და ადგილ მიცემობის გაცხოველებისათვის თვით ხალხის ერთგვარი ნდობა და კმაყოფილებაც არის საჭირო.

ერის პოლიტიკური მეთაურობა და ხელმძღვანელობა მეტს სიფრთხილეს და წინდახედულობას მოითხოვს.

განსაკუთრებით, როდესაც ერის ხელმძღვანელები ისეთს ნაბიჯს სდგამენ, რომელიც შესაძლოა ქვეყნისთვის საბედისწერო გახდეს. საჭიროა მრავალჯერ გაზომვა, აწონ-დაწონვა, ყველა გარემოებისა და შესაძლებლობათა გათვალისწინება. ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ-პოლიტიკური განვითარებისათვის აუცილებლად საჭირო ადგილების დასაცავად და შესანარჩუნებლად ჩვენს მთავრობას უფრო საიმედო იარაღი მოეძებნებოდა ვინემ ის ომი, რომლისთვისაც ის აგრე მოუმზადებელი აღმოჩნდა.

ა. ახათიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პრესის მაგიერ

სოციალ-დემოკრატია დაიბნა და როდესაც საჭირო გახდა სიტყვიერ კორიანტელიდან რეალ პოლიტიკაზედ გადასვლა და საკითხების გადაჭრა არა მარტო სოციალისტურ ფრაზეოლოგიით არამედ კონკრეტულად—ზედი-ზედ წაიქცა: რუსეთის ფრონტი ვერ აღადგინა, ამიერ-კავკასია ვერ შექმნა, ზავი ვერ ჩამოაგდო, ომს ვერ აწარმოებს და უკანასკნელად ხომ ორიენტაციაც ვერ ამოურჩევია. ირაკლი წერეთელი და აკაკი ჩხენკელი ორი ფალავანივით იბრძვიან პარტიულ არენაზე და სოციალ-დემოკრატიულ „მასის" თანაგრძნობა ქონიათ მათს შორის ისე თავდაუჭერლად, რომ გაზეთ „ერთობამ" აღარ იცის საით გადაიხაროს, რომელ ორიენტაციას მიემხროს და დღეს თუ რევოლუციის მოღალატეობადა სთვლის გერმანიის ორიენტაციას და გ-ნ არსენიძეების პირით სახრჩობელაზედ ჰგზავნის ამ ორიენტაციის მიმდევართ, ხვალ იმავე რიხით ამცნობს ქვეყანას, რომ ეს ორიენტაცია შესაძლებელი და სასურველიც არის. იმას ერთიც უნდა მეორეც, არც ერთი და არც მეორე. ეს პარტია აყოლ-დაყოლისა (партія наимевшаго сопротивленія) ირყევა მუდამ თავისი საკუთარი ხაზის ამოურჩევლად, მისდევს სტიქიას, როგორც ბუშტი და საუბედუროდ მასთან ერთად უნდა ირყეოდეს მთელი საქართველოც მაშინ, როცა უაღრესად საჭიროა აშკარად, სწრაფად ყოველი საკითხის გადაჭრა და შესაფერი ნაბიჯების გადადგმა.

სამაგიეროდ—მოღალატეების ძებნა, ყვირილი „დემოკრატიული" ლოზუნგებისა, დაცემა იქ, საცა ადვილია—ხელობად არის გამხდარი; არც ერთი მკაცრი გადაწყვეტილება და მტკიცე შესრულება ნამდვილ მოღალატეებისადმი და დაინცელი, გესლიანი ენვი იმათდამი, ვინც კი სიმართლის თქმას გაბედავს. არც ერთი მიზან შეწონილი ნაბიჯი ცხოვრებაში და დიდი რიხი მცირედი წინააღმდეგობისადმი: стрѣльба изъ пушекъ по воробьямъ. ეს ხელობა ძველის-ძველია ყველა თვითმპყრობელისა, რადგან იგ არაფრისა ეშინია, ისე არაფერი სძულს ძლიერს, როგორც სიმართლის პირში თქმა.

სამაგიეროდ მათ უყვართ სიყალბე, რითაც ბევრს მპყრობელს ფეხი წაუტეხია, აი თუნდაც უკანასკნელი კამათი ავილოთ „საქართველოსთან". არც ერთ დებულებას არ აქარწყლებენ და რიხიანი ინსინუაციებით, სიტყვის გადაბრუნებით აპირობენ პოზიციების გამაგრებას: ჩვენ ვწერდით რომ სოციალ-დემოკრატიას შეეყარა ყველა სენი თვითმპყრობელობისა მასთან ბრძოლის დროს და აქედან „ერთობა" დაასკვნის: „საქართველოს" თვითმპყრობელობასთან ბრძოლა მავნებლად მიაჩნიაო. ეს არის პატიოსანი კამათი?—ეს ყალბი დემაგოგია არის, რადგან თავის მართლება არ შეუძლიათ. ჩვენ ვწერდით, რომ „სოციალდემოკრატია იბრძვის ამ ომში რევოლიუციისათვის და თავისი სოციალისტური თავეზისათვის და ჩვენ კი სამშობლოსა და ერისათვის"—აქედან „ერთობის" დასკვნა: „საქართველო" არ უარჰყოფს რომ ნაციონალ-დემოკრატია მიდის რევოლიუციის წინააღმდეგ, ე. ი. მისი სურვილია დაუპირდაპიროს ერი და სამშობლო რევოლიუციას და სოციალიზმს".—ასეთი ლოღიკით შორს ვერ წახვალთ: მე და შენ ვებრძვით ჩვენს მტერს—მე ხმლით და შენ ჯოხით, მაშასადამე მე მინდა ჯოხი გაგაგდებინო ხელიდან? და ამით „თავდაცვას ვაფერხებ"?

მართალია, რომ დემოკრატიის ლაჩრობაზე ლაპარაკი არ ამაგრებს პოზიციებს, მაგრამ განა ის კი ამაგრებს, რომ თქვენ შუღლსა და მტრობას სთესავთ ქართველი ერის სხვა და სხვა ნაწილებში? განა ის კი ამაგრებს, რომ თქვენვე სწერთ მთავრობის გაზეთში, რომელსაც მეტი ავტორიტეტი აქვს, რომ სამხედრო ხელმძღვანელები არ უვარგოდა დემოკრატიას ბათუმშიო? და განა თქვენ ხელში არ იყო სამხედრო ხელმძღვანელობაც და მხედრობაც? თუ ცუდი აღმოჩნდა ლოღიკა ერთია: თქვენა ყოფილხართ ცუდები და არა სხვა. მაგრამ რომ ხელმძღვანელების ბრალი კი არა, არამედ თქვენი პარტიული „ამხანაგების" ლაჩრობა იყო მიზეზი,—ამას თქვენც ვერ დამალავთ: გ. გეგეჭკორმა პირდაპირ განაცხადა ეროვნულ საბჭოში: თუ ვინმე იბრძოდა—ეს ოფიცრობა და ჯარის კაცები კი გამორბოდენო (პატალოგირი მოვლენაო) და თქვენსავე გაზეთში (№ 80) მოგყავთ ბათომის ომის აღწერილობა ამხანაგ ვალოდია გოგუაძისა, საცა კარგადა სჩანს თუ როგორ იბრძოდნენ ხელმძღვანელები და როგორ გამორბოდა თქვენი ლაშქარი, იმავ ნომერში მაინც არ მოგვეთავსებინათ. ჩვენ გულსა გვწყვეტავს „შეგნებული დემოკრატიის" ასეთი ლაჩრობა, მაგრამ ეს ბრალია არა სამხედრო ხელმძღვანელებისა, არამედ ჩვენი პოლიტიკური ხელმძღვანელებისა, რომელთაც არ ესმით რა საქმისათვის რა იარაღია საჭირო, რა დროს რა ნაბიჯია გადასადგმელი და ხრამისკენ მიგვაქანებენ.

რაე.

ომი

ახლო აღმოსავლეთი

კონსტანტინოპოლი, აპრილის 18. ოსმალეთის სამხედრო ცნობა. პალესტინის ფრონტი. ჩვენმა ჯარმა ბაიაზეთი დაიპყრო. დანარჩენ ფრონტზე არსებითი არა მომხდარა რა.

დასავლეთის ფრონტი

გერმანეთის ოფიციალი. აპრილის 18. გუშინ მტერმა დაჰკარგა ფლანდრეთის დიდი ნაწილი. გენ. პაკსტ-ფონ-არმინის ლაშქარი ფეხდაფეხ მისდევს მტერს. იგი იხევს პოელკაპელლეს, ლანგემარკის და ცონნებეკის მიმართულებით. ჩვენებმა მტერს შენბახამდის დაახევინა. ეპიანკურის სამხრეთით მტერმა შეიძლო ჩვენი სადარაჯო პოსტის დაჭერა. უკანასკნელ დღეებში ჩვენ ხელთ ვიგდეთ 2,500 ტყვე, რამდენიმე ზარბაზანი და დიდძალი იარაღი. სომმას ორივ მხარეზე გაცხარებული საარტილერიო ბრძოლაა; ხანგამოშვებით ბრძოლა ძლიერდებოდა მორსუელსა და მონდიდესთან. მაასის მარჯვენა მხარეზე ორნესა და ვათერონვილთან ჩვენ ტყვეები წამოვიყვანეთ. მოსსულის ჩრდილოეთით ფრანგებმა შემოტევა დაიწყეს მაგრამ ამით, ჩვენ დიდი ზარალი მივაყენეთ. დანარჩენს ფრონტზე ახალი არა არის რა.

ავსტრიის ოფიციალი, აპრილის 18. გარდაგესსა და პიავას შუა გაცხარებული საარტილერიო და მფრინავთა მოქმედებაა.

ალბანეთში მფრინავის მოადგილე ოფიცერმა არრიგმა ჩამოაგდო მე 24-ე ჰაეროპლანი.

ბერლინი, საღამოს ოფიციალი. აპრილის 18. ფლანდრეთში და ლისის მახლობლად მდგომარეობა არ შეცვლილა. მორსულის ჩრდილო დასავლეთით ფრანგების იერიში მოვიგერიეთ.

ოსმალეთის შემოტევა

აპრილის 6-ს ცნობა.

ზღვისპირის მიმართულებით, აპრილის 5-ს, საღამოს მტერმა იერიში მიიტანა ჩვენს მოდარაჯე რაზმზე, რომელიც მდინარე ოჩხამურის რკინის ხიდთან იდგა. მიუხედავად იმისა, რომ მოდარაჯეთ ზურგს უმაგრებდა ჩვენი არტილერია, ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ რაზმმა უკან დაიხია. მოგვიკლეს 2, დაგვიჭრეს რამდენიმე; მათში მოკლულია 1 ოფიცერი.

ზეკარის აღება

აბასთუმნის რაიონში 800 თათარმა აპრილის 5-ს იერიში მიიტანეს ზეკარის გადმოსავალზე და დაიპყრეს იგი.

სარაყამიშის მიმართულებით ცვლილება არ მომხდარა.

რუსეთი

„კერენკა"

პეტროგრადის კომმუნის კომისართა საბჭომ შემდეგი დადგენილება გამოსცა: „პეტროგრადის კომმუნის კომისართა საბჭოში ცნობები მოდის, რომ ვაჭრები უარს აცხადებენ 40 და 20 მანეთიანების (ეგრედ წოდებული „კერენკი"-ს) მიღებაზე. კომისართა საბჭომ დაადგინა შეიპყრან და სახალხო მსაჯულებს გადასცენ ყველა ისინი ვინც უარს განაცხადებს ხსენებულ ფულის მიღებაზე.

ბოლშევიკური კონტრიბუციები

„ველსტნაროდას" ცნობებით პროვინციებში ადგილობრივი მთავრობანი კონტრიბუციას ადებენ მცხოვრებთ, ამის გარდა მძევლებს ციხეებში სხავენ, რომ ამით აიძულონ სოფლები და ქალაქები კონტრიბუცია გადაიხადონ. ჯერ-ჯერობით აი რომელი ქალაქები დაუხარკნიათ საგრძნობლად: ორენბურგისთვის დაუდვიათ ათი მილიონი მანეთი, კარაჩევისთვის ოთხი მილიონი, კროჩისთვის—ოთხი, ტამბოვისთვის ერთი, ვიატკასთვის ათი მილ., კოკანდისთვის 3 მილ., ეფრემოვისთვის 4 მილ., ვოლოგდისთვის 2 მილიონი. ამის გარდა მთელი სია გამოქვეყნებული, სადაც 51 ქალაქისთვის გაუწერიათ 351,635,000 მანეთი. სულ ყველა ქალაქებიდან ჯერ-ჯერობით აუღიათ 339,935,000 მანეთი. გარდა ამისა ბოლშევიკები არ ირცხვენენ კერძო პირებზეც გასწერონ ხარკი, რაიც ახალ-ახალ მილიონებს ჰმატებთ მათ...

8 მილიარდი დეფიციტი

რკინის გზაზე 1918 წ. წმინდა შემოსავალი ნავარაუდევია $1^1/_2$ მილიარდი, ხოლო გასავალი $9^1/_2$ მილიარდი. მაშასადამე, დეფიციტი 8 მილიარდს უდრის.

მომავალი ვაჭრობა-მრეწველობა

მოსკოვში საგანგებო საზოგადოება დაარსდა, რომელსაც მიზნად აქვს ამერიკულ კაპიტალისტებს მოუწოდონ რუსეთის ბუნებრივ სიმდიდრის დასამუშავებლად. ამ საზოგადოებას სათავეში უდგანან რუსეთის ერობათა კავშირების გამოჩენილი მოღვაწენი. საზოგადოებამ უკვე საგანგებო წარმომადგენლი გაგზავნა ამერიკაში.

გენ. ბრუსილოვი

გენ. ბრუსილოვს ჟურნალისტებთან საუბრის დროს განუცხადებია: თუ გვსურს ომი, ისიც გერმანელებთან, ამისთვის საჭიროა უმთავრესად სამი რამ: ა) საკმაო დრო, ბ) აუწერელი ტეხნიკური საშუალებათა გამონახვა და გ) აფიცერთა განთავისუფლება ყოველგვარ პოლიტიკისაგან, რომ დისციპლინის აღდგენაში არაფერი ეკითხებოდეთ კომისრებს, კომიტეტებს თუ მათ მსგავს რაიმე კავშირებსაო.

სოციალისტური ხაფანგი

„ნოვ. ჟიზ." თანამშრომლისთვის ლუნაჩარსკის შემდეგი განუცხადებია: თანდათან გვრწმუნდები რომ დღეს-დღეობით წმინდა სოციალისტური წეს-წყობილების შემოღება ყოვლად შეუძლებელია, რომ იგი სრულ კატასტროფამდე მიგვიყვანსო. შემდეგ უთქვია: ისიც ყალბი საშუალება გამოდგა, რომ სოციალიზმის დასამყარებლად კერძო ქონებათა და წარმოებათა კონფისკაციას ვაპირდით... ეხლა ჩვენი დანიშნულებაა, ქვეყნის ხსნის სახელით ხელი შევუწყოთ მრეწველობისა და ალებ-მიცემობის განმტკიცებას. ამიტომაც ეხლავე საჭიროა ბურჟუაზიულ ელემენტებს შევურიგდეთ, რომ ნაყოფიერი იყოს ყოველგვარი წარმოებაო. ლუნაჩარსკი სანუგეშებლად იმას იტოვებს, რომ ყველა ეს შემთანხმებლი ბურჟუაზიული ელემენტები უსათუოდ უნდა დაემორჩილნონ საბჭოთა მთავრობასო.

რუსეთის მადნები

ციმბირიდან იუწყებიან, რომ იაპონელები ყიდულობენ რუსეთის ოქროს მადნეულობასაო.

უკრაინაში

ახალი კაბინეთი

კოპენჰაგენი. მარტის 30. უკრაინის ახალ კაბინეთის შემადგენლობა ასეთია: მინისტრ-თავმჯდომარედ და გარეშე საქმეთა მინისტრად დანიშნულია გოლუბოვიჩი, შინაგან საქმეთა—ტკაჩენკო, იუსტიციის—შელუხინი, სამხედრო ჟუკოვსკი, გზათა—საკოვიჩი, ფოსტა-ტელეგრაფის—სიდორენკო, მიწათ-მოქმედების და სასურსათო საქმეთა—კოვალევსკი, ფინანსების—პოკოპოვიჩი, ვაჭრობა-მრეწველობის—ჩეპოვსკი, შრომის—მიხაილოვსკი, მთავარ მდივნად—კრისტიუკი.

უცხოეთი

ჩერნინი და კიულმანი

„ლოკალ-ანცეიგერ"-ი სასტიკად ჰკიცხავს ავსტრიას. გაზეთი ამტკიცებს, რომ გრაფ ჩერნინმა მოატყუვა ფონ-კიულმანი, ვინაიდან ჩერნინმა რუმინეთსა და უკრაინაში ლომის კერძი შეიხვედრაო.

საბერძნეთში

საბერძნეთის მთავრობა უარჰყოფს იმ ხმებს, რომლებიც საბერძნეთში მომხდარ უწესოებას შეეხებოდნენ.

რადიო-ბიულეტენი

აპრილის 19.

ბერლინი. საღამოს ოფიციალი. ბრძოლის ველზე ახალი არაფერია. მარნის ჩრდილო დასავლეთით გუშინდელ დამარცხების შემდეგ ფრანგებს იერიშები არ განუახლებიათ.

სტამბოლი. გერმანულად. პალესტინის ფრონტი. ჩვენი მამაცი მზვერავი რაზმები ჩვენი პოზიციების წინ მდებარე ადგილებს გარს შემოერტყნენ. ინგლისელთა პატრულები უკუ აქციეს. ინგლისელთა თხოვნით 2 საათით შერიგება მოხდა დაჭრილებ და ხოცილთა დასასაფლავებლად.

კავკასიის ფრონტი. ბაშკალე და დერის ჩვენმა ჯარმა ალყა შემოარტყა. ვანის ოლქი სრულიად განთავისუფლდა. ჩრდილოეთით ჩვენმა ჯარმა ყარსს ალყა შემოარტყა. დანარჩენ ფრონტზე ახალი არაფერია.

გერმანეთ-ავსტრია-უნგრეთის ოფიციალი. აპრილის 19. **დასავლეთის ფრონტი.** ფლანდრიის ველზე ბევრს ალაგას ჩვენ მზვერავ რაზმებს შეტაკება მოუხდათ ბელგიელთა და ინგლისელთა სადარაჯო რაზმებთან. ვიტშეის ჩრდილო-დასავლეთით მოწინააღმდეგის იერიშები მოვიგერიეთ. დასაწყისშივე მტერს გამაგრებული საარტილერიო სროლა შეხვდა, რის გამოც მტერი დიდად დაზარალდა. მოიესა და ლაბასეს არხის შუა დიდი საარტილერიო ბრძოლაა. მეტიუნის ჩრდილო-დასავლეთით ჩვენმა ქვეითა ჯარმა მტრის ხაზს მიაღწია, რომელიც ლაბასეს არხის ჩრდილოეთითაა და ხელთ იგდო რამდენიმე ზარბაზანი. ფესტუბერტსა და ჟივანშისთან ხელჩართული ბრძოლა იყო. აქ ჩვენ 600-ზე მეტი ტყვე წამოვიყვანეთ. რამდენიმე დღის განმავლობაში მაირიზელსა და მორელზე, აპრის ორივე მხარეზე ეილო-მორელის გზაზე მტერი ზარბაზნების სროლით იერიშებისთვის ემზადებოდა. მკაცრი ბრძოლის შემდეგ მტერი დიდად დაზარალდა და უკუ ვაგდეთ. მძაფრი საარტილერიო ბრძოლა ეხლაც გრძელდება.

აღმოსავლეთის ფრონტი. უკრაინა. ჩვენი ჯარი გარს შემოერტყა ჩეპლინკასა და მელიტოპოლს.

ქრონიკა

თბილისი.

◆ **ეროვნული საბჭოს კრება** დღეს შუადღის 12 ს. შესდგება საქართველოს ეროვნული საბჭოს კრება. კრების საგანია ომისა და ზავის საკითხი.

◆ **დაინიშნენ:** ამიერ-კავკასიის თავდაცვის უმაღლეს საბჭოს საოპერაციო ნაწილის გამგედ გენერალურ შტაბის პოლკოვნიკი ა. ი. გოტოვცევი, გზათა მიმოსვლის განყოფილების გამგედ ი. მ. მალანია.

◆ **ორიენტაციის საკითხი.** აპრილის 7-ს შესდგა მთავრობის, სეიმის პრეზიდიუმის და ფრაქციათა თავმჯდომარეთა კრება, რომელმაც განიხილა საკითხი იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობა შეიქმნება იმის შემდეგ თუ „დაშნაკცუტუნ"-ის საოლქო ყრილობა განჯაში რა გადაწყვეტილებას მიიღებს ორიენტაციის საკითხში. ყრილობისაგან საბოლოვო პასუხი ჯერ არ მიუღიათ.

◆ **სამეურნეო ბანკში** დღეს 11 საათზედ დანიშნულია ბანკის წევრთა საზოგადო კრება, რომელმაც უნდა განიხილოს წლიური ანგარიში და ამოირჩიოს თანამდებობის პირნი. რადგანაც კრება მეორეჯერ იმართება, კანონიერი იქნება, რამდენი წევრიც უნდა გამოცხადდეს.

◆ ქართველ ექიმთა და ბუნების მეტყველთა საზოგადოების წლიური კრება მოხდება ორშაბათს, 9 აპრილს საღამოს 7 საათზედ საქართველოს ეროვნულ საბჭოს დარბაზში. (ფრეილინის ქუჩა, № 11).

ქალაქის თავმა ნ. ელიავამ ამიერ კავკასიის მთავრობის თავმჯდომარეს აპრილის 6 შემდეგი ტელეფონოგრამა გაუგზავნა: „შინაგან საქმეთა მინისტრის თაოსნობით მოწვეულ იქმ თათბირი ლტოლვილთა შესახებ, რომელშიაც შევიდნენ ეროვნულ საბჭოების, ქალაქის კავშირის და მთავრობის წარმომადგენელნი. თათბირი ერთხმად აღიარა, რომ ქალაქის მიდამოებში ლტოლვილთა საქმის გამგე მხოლოდ ქალაქის თვითმართველობა უნდა იყოს. ეს წინადადება შინაგან საქმეთა მინისტრმა დაამტკიცა, მაგრამ სინამდვილეში ისევე ... ფევს ანარქია, როგორც წინად. ... ლანი ცალკ-ცალკე მოქმედებენ, ... მელნიც ქალაქის თვითმართველობის ნაბიჯებს ეწინააღმდეგება. ასეთ პირობებში ქალაქის თვითმართველობას ... შეუძლიან საქმის წარმოება. გთხოვთ თქვენი ავტორიტეტული განკარგულებით საბოლოოდ გადასწყვიტოთ ... საკითხი, წინააღმდეგ შემთხვევაში ... ლაქის გამგეობა პასუხის მგებლობისგან თავს განითავისუფლებს.

◆ **გაახსენებთ მკითხველებს,** რომ დღეს დილით ქართულ კლუბში დადგმულია წარმოსადგენათ შალვა დადიანის ახალი პიესა—„გუშინდელნი"... პიესა საყურადღებოა, ეხება ჩვენს, გუშინდელ ცხოვრებას.

◆ **წ.-კ. გ. ს. რწმუნებულთა კრება.** კვირას, 29 აპრილს, დილის 12 საათზე, ახალი კლუბის დარბაზში დანიშნულია ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების რწმუნებულთა საზოგადო კრება. განსახილველი საგნები: 1) 1916/17 წლების საზოგადოების გამგეობის მოქმედების ანგარიში. (§ 18); 2) სარევიზიო კომისიის მოხსენება. 3) მთავარი გამგეობის მოხსენება საზოგადოების სამოქმედო გეგმის შესახებ. 4) 1918 წლის ხარჯთ-აღრიცხვა. 5) მთავარი გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევა. (§ 17, 31). 6) სკოლა, ბიბლიოთეკებისა და სახალხო კითხვების მომწყობი, წიგნების გამცემლი და სამუზეუმო სექციათა ... ჩევნები. საზოგადო კრებას ესწრება განყოფილებათა რწმუნებულები ნახმედ წესდების მეხუთმეტე მუხლი. რწმუნებულებს მიეცემათ კრებაზე სასვლელი ბილეთები. პროვინციიდან ჩამოსულმა რწმუნებულებმა უნდა წარმოადგინონ სათანადო საბუთი იმის დასამტკიცებლად, რომ ... ნამდვილად არჩეულნი არიან რწმუნებულებად.

◆ **მსახიობთა დადგენილება.** შაბათს, 5 აპრილს, თბილისში მსახიობთა კავშირის წევრებს კრება ჰქონდათ. ითათბირეს მომენტის ... ხებ და დაადგინეს: მიუხედავად ... ვანდელ სამგლოვიარო ხანისა, ... მოდგენების მართვა არ შესწყდეს, რადგან დღესაც ეს ერთი კულტურის მუშაობა ხალხის გამამხნევებელ ... ლომაგრ ... შეუძლებელია. ამას გარდა ... სწყვიტეს, რომ მთელი შემადგენლობა კავშირის მსახიობთა მიმდინარე ... დისწრეთ ომის დროს ემორჩილება ეროვნულ საბჭოს და მისი ბრძანება თუ საჭიროება მოითხოვს; წარმოდგენების გარდა გასწიოს სხვა ... რიც სამშობლოს დასაცავად.

◆ **ქართული ეროვნული** ... სამხედრო კავშირის მიერ შემდეგ ... ქალ-ვაჟთა ეროვნული გუნდი ამ ... ლე ხანში მართავს კონცერტს. ... შეასრულებს ჩვენი კომპოზიტორების ნაწარმოებებს.

◆ **„ახალი სიტყვა".** გამოვიდა ... სამე ნომერი ჟურნალ „ახალი სიტყვისა". შემდეგი ნომერი გამოვა ... რილს ახალის სტილით.

✦ **დღეს, 8 აპრილს,** დილის 11 საათზედ ქართულ კლუბში დანიშნულია ქართველ მოხელეთა კრება, რომელზედაც განხილულ იქნება: 1) საკითხი ქართველ მოხელეთა კავშირის მოწყობის შესახებ; 2) წესდების განხილვა-დამტკიცება; 3) საბჭოს არჩევა.

✦ **სახალხო სახლი.** კვირას 8 აპრილს 1918 წ. სახალხო სახლ. არსებული ქარ. წარმოდ. მმართველი წრე ვასო აბაშიძის მონაწილეობით გამართავს წარმოდგენას „ნამუსისათვის" დრამა 4 მოქ. შირვანზადესი თარგმ. კ-ნის მიერ. დასაწყისი საღამოს 7 ნახ. საათზე.

✦ **თბ. სასტუმროებისა და სხვათა კრება.** 1 აპრილს 1918 წელს შესდგა საზოგადო კრება თბილისის სასტუმროების, მორთულ ოთახების, სასადილოების და სხვათა პატრონთა ურთიერთ დამხმარებელი საზოგადოებისა სილ. სვიმ. გიგიბერიას თავმჯდომარეობით. კრებამ განიხილა წლიური ანგარიში შემოსავალ გასავლისა 1917 წ., რაიც უკამათოდ დამტკიცებულ იქმნა, აგრეთვე უკამათოთ მიღებულ იქმნა ხარჯთ-აღრიცხვა 1918 წლისა. შემდეგ ამისა კრება შეუდგა თანამდებობის პირთა არჩევას, არჩეულ იქმნა 11 გამგეობის წევრი, 8 მათი მოადგილე, 4 სარევიზიო კომისიის წევრი, ხოლო 3 მათი მოადგილე.

✦ **რედაქციისაგან.** რედაქციას პროვინციიდან პარტიულ ბიუროებიდან თუ კერძო პირებიდან შეკითხვა მოსდის, რომელი ირაკლი ამირეჯიბია არმავირში რომ ბოლშევიკთა ბანდის მსხვერპლი შეიქმნაო. ვაუწყებთ ყველას, რომ ველურობის მსხვერპლია ამირეჯიბი სხვა, ჩვენი ამხანაგი კი ჯანმრთელადაა.

ანარქია ამიერკავკასიაში

დეპეშები

გენ. ნაზარბეგოვი მთავრობას: ეს არის ეხლა მივიღე დეპეშა ერევნის რაზმის უფროსის გენ. სილიკოვისაგან. „ჯულფიდან ცნობებია, რომ ჯაგშნიან მატარებელს შახტახტიში თათრები შემოერტყნენ გარს. მატარებლის წინ და უკან ლიანდაგი აყრილია. თათრები მატარებლის იარაღის აყრას მოითხოვენ".

—

ახალციხე. აპრილის 6. ქალაქის თავი ზორიანი. მთავრობას. ამასთუმანში დაატყვევეს ქრისტიანები. მდგომარეობა საშიშოა. საჭიროა მიღებულ იქნას სასწრაფო ზომები.

—

ეკატერინოვკა (ბორჩ. მაზრა) აპრილის 6. კომისარი ელიზოვი მთავრობას. დაიწყო შეტაკებები ეროვნულ შუღლის ნიადაგზე. ინიციატივა თათრებს ეკუთვნის. ხმებს ავრცელებენ, თათრები მოდიანო.

—

თიანეთი. აპრილის 6. მაზრის კომისარი ლიცაბიძე მთავრობას ატყობინებს: რადგანაც მაზრაში ჯარი არ არის, წითელი გვარდია შევადგინეთ. გთხოვთ 3,000 მანეთი გადასდოთ ამისთვის.

აჭარის ღალატი

აღსრულდა! მარტო ერთის ფიქრით, ერთის წარმოდგენითაც კი შემზარავი რამ—მწარე სინამდვილედ გადაიქცა! ვერ გვიხსნა, ვერ დაგვიფარა ვერავითარმა საწადელმა, ვერავითარმა ცდამ, ვერავითარმა ამაგმა და შრომამ, რომ არ მომხდარიყო ის ჭკუისაკლავი რამ, რაც უკვე მოხდა და რაც კიდევ უფრო მეტს უბედურობას და უბედობას გვიქადის მომავალში! წაწყდა იმედი, ჩაქრა ოცნება, მოიშხამა სიხარული იმ ტკბილი საათებისა, საუკუნოებით დაშორებულ, უკუღმართი ბედისგან გაძარცულ ...ლიდან მოწყვეტილ შვილებს, ძმებს რომ ისევ უკან გვიბრუნებდა!

გავარდა პირველი ტყვია ძმა-კაცინისა და იმა ტყვიამ არა მარტო აბელს გაუგმირა გული! ტყვია იგი მოხვდა მთელი საქრისტიანო საქართველოს გულს და წაუკიდა მას ორმაგი ცეცხლი—განსაცდელისა და ღალატისა!

ოჰ, რა ენით გამოუთქმელი სიმწარისაა ამისი განცდა! დარწმუნება იმაში, რომ ეს არ არის სიზმარი, მაჯლაჯუნა სიზმარი! რომ ეს არის სინამდვილე მთელი თვისი საშინელებით, მთელი თვისი საშიშროებით აწმყოში და მომავალშიც!

აჭარა, აჭარის ხალხი! ამ რამდენიმე წლის განმავლობაში ჩვენთვის ერთგვარ სალოცავად გადაქცეული კუთხე და მისი შვილნი! ენა ვერ გამოსთქვამს იმ სათუთ გრძნობას, რომლის ძალითაც იხარჯებოდა უდიდესი ენერგია და ყოველი ნივთიერი ძალა საზოგადოებათა თუ კერძო პირთა აჭარის ასაყვავებლად, აჭარელთა საკეთილდღეოთ, მათი სწავლისა, მათი განვითარებისა, გამოფხიზლებისა და გათვითცნობიერებისათვის!

თვალწინ მეხატება სათუთ-გრძნობა ჩაქსოვილი ლამაზი მუსაიფი, სურათნიმუში ამ მზრუნველობისა: გაცხარებული მუშაობა საკერავისა. ოცამდინ მანდილოსანი, თავ ჩაკრულნი ზომავენ, სჭრიან, ჰკერავენ სხვა და სხვა ფართალს.

— ოჰ, რა მშვენიერი საბნის პირია! ღმერთიანი, საწყალი აჭრელი კი არა, ცხოვრებისაგან განებივრებულიც კი არ დამიწუნებდა ამის საბანს! —ამბობს სიამოვნებით ერთი მათგანი.

— ღმერთმა უშველოს მაგის მომყიდავს! სწორეთ რომ მამულიშვილური გრძნობა გამოიჩინა საერთოთ ასეთი კარგი ფართლის მოტანით!—უმატებს მეორე.

— შე ქალო! ეს როგორი გვირიტი გაგიკეთებია ამ პერანგისათვის? ნუ თუ უკეთ ვერ შეჰკერავდი? უსაყვედურებს მესამე მკერავ ქალს, შესაკერავად საზღვარში წ[illegible]ლებული სახელი რომ მოუტანია.

— ნეტა ერთი გაჩვენათ „ბეჟენცების" ტანისამოსი, რა შეჯღაბნილია და მაშინ ამ საკერავზე ამას აღარ მეტყოდით! უპასუხებს წყენით მკერავი ქალი.

— ჰო, იქნებ ეგ მართალია, მაგრამ თქვენ ხომ გითხარით, ვისთვის ჰკერავთ ამ ტანთსაცმელს და დასახურავს? ისინი თქვენი ძმები არიან, დიდიხნის მოშორებულნი და ეხლა გვიბრუნდებიან. ამიტომ თქვენ საუკეთესოდ უნდა შეჰკეროთ ყველაფერი, რომ იმათაც სთქვან—ჩვენი დებისგან ასეთი კარგი ტანისამოსი მივიღეთო!

ამის შემდეგ მკერავი ქალი ხალისით არღვევს თავის ნაშრომს და იქვე ერთგულად ასწორებს დაწუნებულ საკერავსა.

შეჯოგიან მამა-კაცები. ათვალიერებენ ასობით დალაგებულ ლამაზ საბნებს, საცვლებს, კაბებს. უწონებენ მანდილოსნებს საქმიანობას, ბეჯითობას, დიდს შრომას.

— იცოდეთ, რომ ჩვენდამი თქვენს მადლობას მხოლოდ იმით თუ გადაჰხადავთ, რომ ამ ტანისამოსს ჩვენვე გაგვატანთ აჭარაში, რომ ჩვენის ხელით დავურიგოთ მათ, ჩვენის თვალით ვინახულოთ ისინი.—უპასუხებენ ზოგიერთნი და მამა-კაცებიც ჰპირდებიან მათ ასეთ ჯილდოს...

ხელ-ახლა სიჩუმე, ხელ-ახლა გაჩქარებული მუშაობა... ფიქრი კი უკვე მიჰქრის იქ, იმ მშვენიერ აჭარაში! წინდაწინვე განიცდი ტკბილ გრძნობას, შენს გარეშემო რომ შეიყრებიან შენი ძმა-დანი, მათი შვილები! როგორ მოჰხვევ მათ ხელს, როგორ მიესალმები! როგორ გაიხარებ მათის გახარებით საჩუქარზე! აღუთქვამ მათ ტანჯულ ცხოვრებაში ჩარევას, დახმარებას ყოველნაირს! გული სიამით აძის და დაძის და ისწრაფვი, რომ რაც შეიძლება მალე, მალე მოხდეს ეს მართლა ასე.

ეხლა კი... საზარელი ხარხარი დამცინავი ნიშნის-მოგებისა.

განიცდი ამის ყვებას და კითხულობ სასოწარკვეთილი: რად, რად არის საერთოდ ასეთი უიღბლო ჩემი სამშობლო? ეს ტკბილი, მომავლე დედობილი მის მკერდზე მიყრდნობილი, მის კალთებ ქვეშ შეზუდებული ყოველი არსისა, განურჩევლად მიდგმისა და სარწმუნოებისა? რად უძღვიან მას ასეთს მშობლიურ ამაგს ასეთი უმადურობით? რადა, რად?

ნეტა სადა ხართ ეხლა ის პირნი, ჩვენსა და აჭარელთ შორის რომ შემაერთებელ ჯაჭვად იყავით? რასა გრძნობთ, რას განიცდით თქვენ ძმათა შორის ამ ჯოჯოხეთურ ბრძოლა-ხოცვაში? ნუ თუ, ნუ თუ თქვენი გული იტანს ამას? ნუ თუ ეს თქვენთვისაც ისევე ზარდამცემი არ არის, როგორც ჩვენთვის? ნუ თუ ყველაფერი ჩვენს შორის მხოლოდ მოჩვენება, მხოლოდ მეოცნებეთა ბოდვა იყო და არავითარი ნიადაგი მას არ ჰქონია!?

აი ჩემს კედელზე ერთი თქვენთაგანის საჩუქარი ნახატი. მის აბრეშუმზე გამოსახული წყვილი ფრინველი მარტო იმიტომ კი არ მიყვარს, რომ ისინი ცოცხლებს ჰგვანან და თითქო ხელზე შემოფრენას ჰლამობენო, ისე გამოიყურებიან! არა, მე ეს სურათი მიტომ უფრო მიყვარს, რომ ის მაჩუქა აჭარის შვილმა, ნაპოვნმა ძმამ, თითონაც რომ დათ დამსახა!

და აბა დაფიქრდეს ის, მოიგონოს მან ის სულის განცდანი, რამაც ჩვენ გაგვაცნო ერთმანეთი შემდეგში, დაგვაახლოვა! რადა შეგვრჩა ხელში ეხლა ჩვენ ორივეს? ის, რომ ეხლა ეს ნახატი მხოლოდ ცრემლებს, აწვარე ცრემლებს-და იწვევს ჩემს არსებაში! ის, რომ ეხლა არც კი ვიცი, თუ ამ უბედურ ჟამს სად არის ის, რას მოქმედობს, რას ფიქრობს იმაზე, რომ ჩვენ ისევ ვიყურებით, მხოლოდ ამ ხნობით კი ჩვენივე ცეცხლით და მახვილით!

ან იქნებ იმათ [illegible]! ან იქნებ კიდევ უარესიც! იქნებ პირიქით ის ჰხედავს ჩვენში საყვედურით დალატს!?—ვის მოეკითხება?

ნეტა ვიცოდე მაინც, ნეტა ვიცოდე!

ნინო ყიფიანი.

ქალაქის საბჭოში

აპრილის 5 სხდომა.

თავმჯდომარეობს საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი იაკეფიანი.

სასურსათო საქმე.

ხმ. მ. ო. გრუზენბერგი, როგორც თავმჯდომარე იმ კომისიისა, რომელსაც დავალებული ჰქონდა საბჭოსგან სასურსათო საქმის მოგვარება, მოახსენებს საბჭოს, რომ კომისიამ შეიმუშავა მოქალაქეთა კატეგორიებად დაყოფის პროექტი. კითხულობს პროექტს. მისი პრაქტიკული განხორციელება დავევალებათ სახლის კომიტეტებს.

ხმ. დ. მ. პოპოვს შეაქვს რამდენიმე შესწორება იმ პირთა შესახებ, რომელთაც პური აწეულ ფასებში უნდა მიჰყიდონ. წინადადებას იძლევა, რომ საკითხი არ იყოს განხილული, ვიდრე ხმოსნებს არ დაეგზავნებოდეთ გასაცნობად კომისიის დაბეჭდილი მოხსენება.

ხმ. გ. ბ. კაფიევი მოაგონებს საბჭოს, რომ პურის ფასის საკითხზე მთელი თვე უხდებათ მსჯელობა, მაგრამ ქამდის საბჭოს არავითარი გადაწყვეტილება არ მიუღია. საქმის ასეთ დაგვიანება იქამდის მიგვიყვანს, რომ ქალაქის კასაში კაპეიკი აღარ გვექნება. კაფიევი მოითხოვს, რომ უარჰყოს ყველა თეორიული გამოანგარიშება სხვა და სხვა კატეგორიებად დაყოფისა და პური ნამდვილ ღირებულ ფასში გაჰყიდონ.

თავმჯდომარე აღნიშნავს, რომ ქალაქის საბჭომ უკვე გადასწყვიტა მცხოვრებლების კატეგორიებად დაყოფა, საბჭო წინააღმდეგია, რომ ყველა ქალაქს, განურჩევლად მის ნივთიერი მდგომარეობისა, პური ნამდვილ ღირებულ ფასში გაიყიდოს.

საბჭომ მიიღო პოპოვის წინადადება და პურის ფასის და მოქალაქეთა კატეგორიებად დაყოფის საკითხი შემდეგ მორიგ სხდომისთვის გადაიდო.

სასურსათო განყოფილების ორგანიზაცია

ხმ. დ. მ. პოპოვი აღნიშნავს, რომ დღემდის მოქმედებდა ორი ორგა-

სულის მოგზაურობა

(ეტიუდი).

I

ჯერ ახალგაზდა იყო იგი. ლამაზი, მომხიბლავი.

იზრდებოდა და ვაჟკაცდებოდა. ყოველ დღე ძალა ემატებოდა და, როგორც ვარდის კოკორი, ისე იფურჩქნებოდა.

მგზნებარე თვალები მხურვალე ნაპერწკლებს აკვესებდნენ... არც ერთ ნაზ არსებას არ შეეძლო შეეხედა, თვალი თვალისთვის გაეყარა, ისე სწვავდა და სდაგავდა მისი მზერა, მისი სიცხოველე.

ლეგწამივით აყრილი ტანი თეთრ ქანდაკებასა ჰგავდა.

სიყრმიდანვე უცნაური იყო: არ უყვარდა თამაშობა. არავის ეკარებოდა.

ფიქრიანი იყო, ვით ტყიდან გადმოპრილი ირემი.

წამოიზარდა.

უფრო განმარტოვდა... მთელი დღე გარედ აღ მებდა, ველ-მინდვრებში და დელე-ტყეებში.

* *

ერთხელ ბევრი იარა, ბევრი მთა და ბარი გადაიარა. ერთ მთის ძირას მიადგა უდაბნო ადგილს, სადაც პატარა ქოხი იდგა. მწყემსის ბინა ეგონა. მოუახლოვდა, უნდოდა წყალი ეთხოვნა. მივიდა ბინასთან. დააკაკუნა კარები. მოხუცი კაცი გამოვიდა. გამომავლის უმალვე მის მშვენიერ ვერცხლისებურ თეთრ თმებზე მზის სხივები შარავანდედივით გადაეფინა. ყმაწვილი ჯერ შეჰკრთა, მაგრამ რა დააკვირდა—კიდეც იამა მისი ხილვა. მან იგრძნო თუ ვისთანა ჰქონდა საქმე.

— მამაო! აღარ დააცალა ბერს: თუ შეიძლება, წყალი დამალევინე, ლამის არის დავიხრჩო.

ბერი შებრუნდა და სურით ცივი წყაროს წყალი გამოუტანა. ყმაწვილმა ხარბად დაუწყო წყალს სმა. ბერი განცვიფრებული შეჰყურებდა. მის წინ იდგა ახოვანი, ლამაზი ჭაბუკი.

— ვინა ხარ, შვილო? რამ მოგიყვანა ამ უდაბნო ადგილს?

ყმაწვილი შეიჭმუხნა.

— მამაო, მე ცოდვილი არა ვარ! ჯერ არც ავი გამიკეთებია და არც კარგი! მე ისევ უცოდველი ვარ, როგორც ახლად დაბადებული ნორჩი ბავშვი!

— მაშ კეთილი იყოს შენი აქ მოსვლა! მაგრამ, მაინც რა გინდა; აქ რას დაეძებ?

— ცხოვრებას,—მიუგო ყმაწვილმა.

— ცხოვრება ?!—გაკვირვებული შესძახა მოხუცმა.

— დიახ, ცხოვრებას!—მტკიცედ განუმეორა ჭაბუკმა.—მე მინდა, მამაო, ვიპოვო ის, გავიცნო მისი საიდუმლოება, თუ რა არის ცხოვრება, რომ ყოველი სულდგმული ასე ხარბად ეწაფება მას...

— ცხოვრების ძებნა არ იქნება, შვილო, მისი პოვნა არ შეიძლება!—დაიწყო მოხუცმა და სასოებით ზეცას აღაპყრო ხელები.

— იგი ნივთი არ არის, რომ შეეხო, იგი სიყვარული არ არის, რომ მოინადირო, იგი ოქრო და ვერცხლი არ არის, რომ აღმოაჩინო! - სთქვა თუ არა დასდუმდა. თავი ძირს დაჰხარა.

— მაშ რა არის ცხოვრება, მამაო? —შეეკითხა ყმაწვილი.

— არა შვილო, მაგისი ახსნა არ შეიძლება. წადი, იცხოვრე და შენ თითონვე გაიგებ, თუ რა არის იგი! მხოლოდ ეს კი იცოდე: ცხოვრების საიდუმლოებას ვერ გაიგებ და ისე მოკვდები, რომ შენი უკანასკნელი სიტყვა „არ ვიცი" იქნება. ცხოვრების ნახვა შეიძლება—გაგება კი არა!

— მაშ, ნება მომეც, აქ, შენთან გავლო ჩემი სიცოცხლე.

— არა, შვილო, დიდ საქმეს კისრულობ. დაჰხედე შენს თავს, როგორ ჰყვავი, როგორ გაფურჩქნილხარ! შენ ადთქმის დადება არ შეგიძლიან.

— როგორ?

— როგორ და ისე, რომ შენ ასე ადრე არ დამარხავ შენს თავს.

— განა შენ კი დამარხული ხარ?

— ჰო, დიდი ხანია! დიდი ხანია, შვილო, რაც ყოველივე კავშირი გავსწყვიტე წუთისოფელთან და ჩემი თავი მე აღარ მეკუთვნის.

— მაშ ვის ეკუთვნის, მამაო?

— ღმერთს!—მქუხარედ წარმოსთქვა და მან ჯვარი ზეცისკენ აიწია.

— მაშ, მარტოდ უნდა გაატარო შენი უკანასკნელი სიცოცხლის წუთები?

— არა, შვილო, მე მარტო აღარა ვარ! აქ უნდა ავაშენო ჩემი სულის სამლოცველო! მე უკვე მოვიპოვე ჩემი გზის მიმდევარნი, მოწაფენი, რომელნიც მეხმარებიან, რომელთაც მტკიცედ გადაწყვიტეს ჩემთან ერთად სამუდამო განყენება ამ—ცრუ წუთისოფელს, რომელთაც დაუმარხიათ თავიანთი გულისთქმანი და ვნებათა-ღელვანი!..

მოხუცმა დაატარა ჭაბუკი და აჩვენა რამდენიმე პატარა ქოხი, სადაც ბერები იდგნენ.

საღამო ხანი იყო. მზე ჩადიოდა. გორას ეფარებოდა. გუნდ-გუნდი სხივები აქეთ-იქით გადაიფანტნენ და ნელ-ნელა ჰკარგავდა თავის სიცოცხლეს, ძალ-იღონეს. ავერ ალმაცერად დაეშვა, უკანასკნელად მოუალერსა ჰყვანს და მძიმედ ჩაესვენა. მთის წვერები სისხლის ფრად შეიღება, ვარვარი დაიწყო, თითქო კოცონი იწვის და საშინელ ცეცხლში გიზგიზებსო.

ყმაწვილს მეტად მოეწონა ადგილის მდებარეობა. ირგვლივ ღრმა, გარშემორტყმული ტყით შეფენილი მთები, მშვენიერი გან არტყოვებული ხეობის გრილი მოსალმუნე ნაზი ნიავი და წყალ-ჩანჩქერის ქშუილი, სულ სხვა საზღაპრო სანახაობას უყენებდა ჭაბუკს თვალ-წინ.

— და აი, აქ უნდა აშენდეს დიდი ეკლესია; განაგრძო ისევ მოხუცმა. აქ უნდა გაისმას განუწყვეტელი წირვა, ლოცვა, წმიდა გალობა და ღაღადება. აქ ბრძანება მხოლოდ დიდებულ ჩვენი ღმერთისადმი. შენ კი, შვილო, ამის აღსრულებელი არა ხარ, შენ ვერ მიეკედლები ჩვენს სასუფეველს, შენი არსება აქ ვერ შეეხიზნება. აქ არ არის შენი ადგილი. შენ სულ სხვა მხარეს წახვალ. წადი აქედან შორს, შორს და გამოსცადე წუთი სოფლის სიტკბოება და სიმწარე; აქ კი ვინც ფეხს შემოსდგამს, უნდა დარჩეს სამუდამოდ და აქვე უნდა დაიმარხოს. აი სინელემ მოიცვა გარემო. ღამდება. ეხლა შენ ველარსად წახვალ, ამ ღამეს ჩემთან გაატარებ და ხვალ დილით, აი იმ მთის წვერზე მზე რომ ამოჰყოფ თავს, შენ გაუდგები გზას და წახვალ ცხოვრების სანახავად.

* *

მეორე დღეს განთიადისას ბერმა დალოცა იგი, პირჯვარი გადასწერა და ჭაბუკიც გაუდგა გზას. ბერს რომ სტოვებდა, გული რაღაცნაირად თიფქონ სევდით იმ ჭვალეშოდა, არ უნდოდა მშვიდობით ადგილი და სათნოთანი მოხუცი დაეტოვებინა. სულ უკან-უკან იხედებოდა, ან ეხლა დამიძახებს, ან ეხლაო. მაგრამ უკვე კარგა დაშორდა იმ ადგილს, სადაც ბერი იყო.

გული შეეკუმშა, ნაღველმა ხელი დაუწყო. მიდიოდა და ფეხის გადადგმა ეზარებოდა.

გაუხვია ერთს გორაკს და მწვანე მინდორზე დაეშვა. შორს პატარა [illegible] მოსჩანდა და აქ ტყისკენ გასწია. [illegible] ხლოვდა, უნდოდა შემოტრიალებულიყო, პატარა ბილიკს დასდგომოდა, მაგრამ უმალ იქვე გაშეშდა, განცვიფრდა, გაოცდა მოხიბლავს, გრძნეულ სურათის წინ. ტყის შუა გულს გაჭიმულიყო პატარა ტბა. ტბის პირას იდგა ლამაზი ქალწული, თმა გაშლილა და წინ გულის პირზე გადმოყრა. ვარსკვლავებივით მოციმციმე [illegible] ლები ძირს დაეხარა და ტბის [illegible] კამე წყალში იცქირებოდა. ქალი ვიღაცას ელერსებოდა, თავს უკანა[illegible] და, უდიმოდა, ვიღაცას ეწონებოდა. მისი სიტურფით ადიდსავსე სახე კი დიდებულობას მეტყველობდა. უხედავდა და, რა დაინახა მის მდგომი მშვენიერი ჭაბუკი, საშინლად დაიგრძნა. ხელები გამოწვდილი [illegible] ჩა, ჭაბუკი გაირინდა. თავი სიზმარი ეგონა, სადღაც საზღაპრო ქვეყანაში მიექანებოდა. ვერ გამოერკვეთ და ხარბად მიაჩერდა ცოცხალ დაკვნას. სუნთქვა ეკვრებოდა, მისი არსება უცნაურმა ჟრუანტელმა მოიცვა. გულში კი ჰფიქრობდა: მოჩვენება არაა, თუ სინამდვილეა რა ყოფილა ცხოვრება. თავს დაატანა. ძლივს გადასდგა ფეხი, გარინდ მიუცემლად გაიწოდა ხელი და სიზმარეულად გასწია ქალისაკენ. მივიდა. თვალი თვალს გაუყარა. წვილმა უცბად ჩაიხოშა ქალის [illegible] ლებთან. ქალის თეთრი ხელი მსწრაფლ ჭაბუკის მხარზე დაეშვა და მხურვალე კოცნამ შეაერთა ტუჩები.

(დასასრული იქნება)

ვ. გარრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1) სასურსათო თათბირი და 2) საგანგებო სასურსათო საკრებულო. პირველი ორგანო მეტად იშვიათად იკრიბებოდა. მეორეს მოქმედებას დიდი ნაყოფი არ გამოუღია. ამის მიზეზი ისაა, რომ საგანგებო საკრებულოში შედიოდნენ ისეთი პირები, რომელნიც სხვა საქმეებითაც იყვნენ დატვირთულნი და ვერ იცლიდნენ. მომხსენებლის აზრით საგანგებო საკრებულოს გაუქმებით საქმე არ წახდება. სასურსათო თათბირი კი ჯერჯერობით უნდა დარჩეს.

ქალაქ. თავი ნ. ჟ. ელიავა მოახსენებს საბჭოს, რომ საგანგებო საკრებულოს უფლება გადადის გამგეობის წევრთაგან შემდგარ საკრებულოზე. საბჭო მოხსენებას ამტკიცებს.

ქართველი მაჰმადიანი ფაშები

მეჰმედ-ფაშა შავაძე. სახელ განთქმული ფაშა და დამსახურებული როგორც ოსმალეთის მთავრობის წინაშე, ისევე ქართველ მაჰმადიანთა შორის. ეს ფაშა მოესწრო 1850 წლებსაც, იცოდა კარგათ ქართული ენა და წერა-კითხვაც, იყო დიდი მფარველი ქართველ მაჰმადიანების და მასთან მკაცრათ დამცველიც სამუსულმანო საქართველოსი ოსმალეთის მთავრობის წინაშე. ეს ფაშა სტამბოლში არავის ეტყოდა, რომ მე მუსულმანი ვარ, ან ოსმალო, ან თათარიო. ყველას იმას ეუბნებოდა, რომ მე გურჯი ვარ და ჩვენი ქვეყანაც გურჯისტანიაო. ჩვენ ჩვენს ქვეყანაში ჩვენებური მართვა-გამგეობა და წესები უნდა გვქონდესო. ეს ფაშა დიდი მეგობარი იყო 1850 წლებს კონსტანტინოპოლში მყოფ ქართველ კათოლიკეთა ხუცების, რომელთაც 1850 წ. ვენეტიკში ქართული წიგნების გამოცემა დაიწყეს. ეს ცნობა ჩვენ ამ კათოლიკეთა მოძღვართაგან ვიცით.

ხამიდ-ფაშა დუმბაძე. კაცი ცნობილი და გამოჩენილი თავის დროის კვალით, 1850 წ. რუს-ოსმალეთა ომშიაც გმირის სახელის მქონი. მეტად ტკბილის ქართულის ენით მოლაპარაკე, დიდი ქომაგი ქობულეთლების და იმისი მთქმელიც ყოველთვის, რომ ბათუმი ქართველ მაჰმადიანთ ქალაქია და იქ გურჯი ფაშა უნდა იჯდეს და არა ოსმალოს კაციო. თვით უნდოდა ბათუმის ფაშობა, მაგრამ ოსმალთ მტრობათ არ მისცეს ეს თანამდებობა.

რეშიდ ფაშა დუმბაძე. ძმა ხამით ფაშისა. თავის ძმასავით ერთგული ფაშა ძველის სამუსულმანო საქართველოსი და მასთან დიდათ მოყვარე ქართულის ენის, მფარველი ქართველი მაჰმადიანებისა კონსტანტინოპოლს.

ვახიდი ფაშა დუმბაძე. ძე რეშიდ ფაშისა. მამამ ქრისტიანული სახელი მიტომ უწოდა, რომ მას ერთს წინაპარს, ქრისტიანობის დროს, ვასილი რქმევია. ვასილი ფაშაც მამა და ბიძას დაემსგავსა. შეგნებული კაცი ყოფილა და მასთან ოსმალურის სათანადო სწავლაც მიუღია, ყოფილა კარგათ მცოდნე ქართულის ენის და წერა-კითხვის. ეს ფაშა თურმე ოსმალეთის მთავრობის წინაშეც არ მალავდა თავის მამულიშვილურ აზრებს და ყოველთვის აცხადებდა, რომ გურჯისტანი მუსულმანებს სტამბოლში, ოსმალეთა საწავლებლებში, თავიანთ ქართული ენაც უნდა ასწავლონო. ყველას იმას ჩასძახებდა, რომ ჩვენ გურჯები ვართ და ჩვენმა მოდგმამ და ხალხმაც უნდა ასწავლოთ ქართული წერა-კითხვა და ენა, რადგანაც ჩვენი ოჯახის ენა ქართული ენა არისო.

ხოსროვ ფაშა ერისთავი. 1840 წ. სახელგანთქმული პირი და დიდი მინისტრი სულთანისა, ხოსროვ ფაშა ერისთავი ერთ დროს ინგლისშიაც იყო ოსმალეთის ელჩათ გაგზავნილი, იცოდა ევროპიული ენები და ოსმალური და აზიის ერთი სხვა ენაც. იყო კარგი მოლაპარაკე ქართულის ენით. ოსმალეთის მთავრობამ ბევრჯელ მოუნდომა გვარის გამოცვლა, მაგრამ მან არა ქნა, უარი უთხრა ასე, რომ „მე ერისთავობას არაფერზედ არ გავცვლიო, ჩემგან ამის გამოცვლა არას დროს არ მოხდებაო.

მაჰმედ ფაშა ანთელაძე. სტამბოლში კარგათ ცნობილი 1840 წ. და მასთან კარგად მცოდნე ოსმალეთის კანონებისა და ყოველთვის ქართულის ენით მოლაპარაკე ქართველ მაჰმადიანებში.

ხასან ბერი ფაშა აჭარელი. ოსმალეთში გაზრდილი მცოდნე კარგად ქართულის ენის და ოსმალურის, იცოდა ევროპიული ენებიც. გურჯისტანის ამბებსაც კარგათ ეწყობოდა და იყო დიდი ქომაგი ქართველ მაჰმადიანების და ქართული ენის. ეს ფაშა ევროპაში ხშირად ყოფილა ელჩათ.

ხელიმ ფაშა ცეცხლაძე. იყო კარგად მცოდნე ქართული ენისა. ხშირად უთქვია მე გვარად ცეცხლაძე ვარ და კაი საქმისთვის ნამდვილი ცეცხლი ვარ გურჯისტანის სადრის საკეთილოდაო. მართლაც, იგი იყო დიდი მოსარჩლე ქობულეთლების, აჭარლების ყველა ქართველ მაჰმადიანების.

მეჰმედ ფაშა გუბჯაძე. განთქმული ფაშა 1850 წლებს, ნიჭიერი ფაშა და სამართლიანი მოსამართლე. იგი დანიშნული იყო აფრიკის ვალი ფაშათ. აფრიკაში დიდათ განითქვა სახელი, მისი სახელი 1850 წ. მთელს ოსმალეთში იცოდნენ, როგორც კარგის კანონმდებელ ფაშის და მასთან როგორც ქართულისა ქართველობას ამ ფაშით თავი მოსწონდათ. თავის ხელქვეითებს ყოველთვის ქართულად ელაპარაკებოდა, ამის გარდა, ყველა ქართველ მუსულმანს შინ დაბრუნებას აუცილებლივ აუწყებდა, ეტყოდა თურმე ასე: თქვენ აქ ფულის საშოვნელად ხართ მოსული, ფული იშოვნეთ და მერე თქვენს გურჯისტანში დაბრუნდითო.

მუსა ფაშა ხუნდაძე. ხუნდაძის გვარის ფაშები კონსტანტინეპოლს მე-18 საუკ. გამრავლდნენ. მუსა ფაშა ხუნდაძე სცხოვრებდა 1830 წლ. იყო სახელ განთქმული ფაშა და კარგად მოლაპარაკე ქართულის ენით და დაუბრკოლებლივ წერის მცოდნეც. მას ისეთი სახელი ჰქონდა, რომ მას პატივს სცემდა თვით სულთანიც, მუსა ფაშა დიდი მოყვარე ყოფილა თავის სამშობლო ქვეყნისა და მასთან ოსმალოს მთავრობის წინაშე დიდი ქომაგიც ქართველ მაჰმადიანებისა. ბევრი გაჭირებაში ჩავარდნილი ქართველი კაცი დაუხსნია და თავის სამშობლო საქართველოში დაუბრუნებია. ესევე ფაშა სასტიკათ უკრძალავდა ქართველ მაჰმადიანებს საქართველოიდამ აქეთ იქით გადასახლებას.

ზ. ჭიჭინაძე.

(დასასრული იქნება)

კორესპონდენცია

დ. ხარხარი (ზემო იმერეთი). არსებული წესწყობილება რაფდენი დროც გადის, იმდენად გასაოცარ სახეს ღებულობს. კიდითი კიდემდე გასული ხმა საქვეყნოთ მოვლენილ შვება-ლხენისა შემოკლდა და შეიბოჭა. ჩვენ თავისუფლები აღარ ვართ, ამ სიტყვის ნამდვილ მნიშვნელობით. გვეგონა, ხმები დაითვლებიან, სათავეში კარგი ელემენტები ავლენ და ბოლო მოეღება არაჩვეულებრივ უპასუხისმგებლო მოსამართლეთა გამოსვლებს-თქო, მაგრამ განვლო დრომ და იგივეობაა. საკმარისია ერთი მილიციონერის სიტყვა, რომ დაბა-ქალაქი ფეხზე დადგეს. საკმაოა კომისართან იჩივლო ეს ნაჭერი ადგილი მე მეკუთვნის, ჩამობარეთო, და თუ აზნაურისაა, საბუთი რად უნდა, მყისვე ჩააბარებენ, მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელს უმისოთ არსებობა არ შეუძლიან. საკმაო არ არის რომელიმე პოლკს დაჯილდოებიხარ გიორგის ჯვრით, გაქვს მოწმობა, რომ თოფი გებარება და საჭიროების დროს გამოხვალ სამშობლოს დასაცავად, როგორც ერთგული მეომარიო. ართმევენ იარაღს და ასეთ პიროვნებას ადარებენ-რა იმ სალდათს, რომელსაც აფიცრის სამზარეულოს მეტი არა უნახავს-რა.

რათ გინდა, რომ ივანემ ნება დაგრთოს შორაპნიდან საჩხერეში ათი გირვანქა საპონი წამოიღო, აქ მისი ამხანაგი პეტრე წაგართმევს. ყველა ამას დასაბუთება არ სჭირდება. ასე მიდის თვე, წელი და სამართალს ვერ აღწევ. არსებობენ იგივე მომრიგებელ მოსამართლეები, გამომძიებლები, არც მომრიგებელ შუამავლები გადამდგარან ჯერ, მაგრამ ყველა ამათ მოადგილეობას გვისრულებენ კომისარ-მილიციონერები, რომელთა მოქმედება ვერ აკმაყოფილებს ხალხის გულიდან ამოსახვეთ წყლულებს. ამა წლის იანვრის უკანასკნელ რიცხვებში სოფელ კარბოულის მცხოვრებ გ. გოგატიშვილს თავს დაეცა რამდენიმე შეიარაღებული ყაჩაღი. მართალია გ—შვილი მათი მსხვერპლი გახდა, მაგრამ ის ნიშნები დატოვა, რომ აღმოჩნდა მათი ბრბო შემდგარი სოფელ ქალის ბრწყინვალეობიდან. ყაჩაღთა თავდასხმამ კარბოულის მცხოვრებნი ფეხზედ დააყენა, დაედევნენ, დაიჭირეს ოთხი კაცი და ის რიგიანობა იხმარეს, რომ უკითხავად და აუწონ-დაუწონლად მათ იგინი არ დაუსჯიათ, თუმცა კი მათ შესახებ სიკვდილით დასჯის განაჩენი თებერვლის თვეში მოიყვანეს სისრულეში.—ამის გამო 12 კაცამდე მცირეწლოვანიცაა დაპატიმრებული. ორი გადაგზავნილია და იმალება. ძალზე შეუსაბამო მიქმა-მოთქმა ამ დაკავებულ პიროვნებათა შეურაცხყოფაზედ სიმართლესთან ახლოა. დ—ა წერეთლის ორი ბუნებით ნაკლული შვილები განთავისუფლდნენ 23 ამ თვეს, მაგრამ მათ სიცოცხლის ნიშან-წყალი არ სდევდა, რამდენჯერმე იახოვა ნ. ა—ძემ ექიმისთვის გაესინჯვებინათ ცემით დაავადებული მისი პირმში, მაგრამ წადილი არ შეუსრულდა. ბოლოს ორი კი ამ დაკავებულთაგან ბაქრაძე და კირვალიძე ხომ მილიციონერებმა დაბა საჩხერის სატუსაღოსთან 18 ამ თვეს ღამის 12 საათზე დახვრიტეს.

თუ რამდენად ღირსნი იყვნენ ეს უკანასკნელნი ამ სასჯელის, ეს ჩვენთვის ჯერ გაუგებარია, ცხადით მხოლოდ, რომ მოქმედება კარბოულის საზოგადოების მცხოვრებთა—ოთხი ყაჩაღის დახვრეტის შესახებ შედარებით მოსაწონია და მოქმედება საჩხერის ადგილობრივი ძალისა დასაგმობი და პასუხისგებაში, მით უფრო, რომ რევოლუციონური ტრიბუნალი არ გვქონია და არსებულ მოსამართლეთა ლადგებული სიმართლის განაჩენი არ არსებობენ.

—

დ. ცხინვალზედ ოსების თავდასხმამ ძალზედ შეგვაშფოთა დ. საჩხერის მიდამოს მცხოვრებნი. მართალია და ამ 2 თვის განმავლობაში დიდი მწარე დღეები განვიცადეთ დ. საჩხერლებმა.—ხან ბოლშევიზმით გამსჭვალული კორბოულის საზოგადოება უნდა დაგვესხმოდა თავს იარაღისთვის, ხან კი ოსები. ამ უკანასკნელთა თავდასხმას ხომ ამ თვის პირველსაც, ყველიერის პარასკევს ველოდით. დაბიდან ხალხი გაიხიზნა, შორაპნიდან გვარდია იქმნა გამოწვეული და ჩვენ თავდასხმაზე კი არავის ეფიქრა. ცხლა კი, ხმამ ცხინვალზედ თავდასხმისამ რიგიანად შეგვაშხადა. რამდენიმე ასი კაცისგან შემდგარი წითელი გვარდია მტკიცედ შეიარაღებული 24 მარტს უკვე სოფელ პალის დაბანაკდა. მათ პალის მცხოვრებთაგან რამდენიმე პირი ქუდზე კაცი, მცირე გამონაკლისით მიემატა და შევიდნენ მთაში და მიახლოვებულ სოფელ პერევში დაბანაკდნენ. ადგილობრივმა ოსებმა დელეგაცია გამოგზავნეს და თავიანთი უდანაშაულობა აღიარეს. იმ გულის-წყვეტით, რომ მათ ცოლშვილი მყინვარზე აიყვანეს. წითელი გვარდია მათ სამართლიანად ჯარში თავიანთ საბრძოლველად იწვევს და იარაღის აყრას სთხოვს, რის შემდეგ უნდა განაკრძოს გზა ცხინვალზე-ერწოთი ცხინვალის თავდამსხმელთა შესახვედრად. მეორე გზა დასავალი კი, რომელიც იწყება კორბოულის საზოგადოებიდან და გადადის ჯვარზედ, აქაურმა მცხოვრებლებმა შეჰკრეს და ჯვარზე მომდგარ მტრის დასახვედრად დიდით-პატარამდე შეიარაღდნენ.

საჩხერის მახლობელ ორ-სამ ოსების სოფლებში, თედელეთ-ხახეთში და პანტებში სულ 200 კომლი ოსი თუ იქნება. ჩვენ შორის კეთილ-განწყობილების მეზობლური კავშირის შემდეგ თუ რამ გამოიწვია ამ ხალხის ჩვენდამი ბოროტ-განზრახვა, აჯვილი მისახვედრია. ტყუილია უთუოდ ის ხმა, რომ მათ სახელმწიფოებრივი საზღვრების აღდგენა უნდოდეთ. უფრო სიმართლესთან ახლოა, ერთი ის, რომ ისინი ძარცვა-გლეჯას თავიდან არიან შეჩვეულნი, მეორე კი ის არის, რომ ამ ნაცრის გამომცხობსაც ძაფი აქვს გაბმული ს. შაუმიანთან, შიკ შუაგულ ქართლიდან, ძნელი კუთხეებიდან, სინათლეზედ გამოვიდეს თვისი ერით ხსნებული სტეფანე, რომელიც დიდ ფულის დახარჯვასაც არ მოერიდება, ოღონდ ქართველთა უკულმებო შეიმუსროს. ამის დასტურისათვის მოგიგონოთ დ. ჩხარიდან ბრძოლაში მონაწილე ჩხარელი ორგანიზაცია, რომლის შემადგენლობა ამავე დაბის ხარაზოვ, კოლოვები და კეჭკეპოვები იყვნენ.

საზოგადოდ უნდა ითქვას, რომ როგორც დაბა საჩხერე [illegible] გამოქცეულ საომხეთო შენობებს ისე, [illegible] გამ[illegible] ყველა ნაირი საზღვრო ერთიორად გაძვირდა და საშინლად ვეღარ ვასწრებთ მას.

გალ. ქვათარაძე.

თბილისის საურთიერთო ნდობის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების გამგეობა

აცხადებს, რომ 8 აპრილისათვის (ახალი სტილით 21 აპრილი) დილის 10 ს. საზ. შინაზე (სასახლის ქ. სარაჯიშვილის სახლი) დანიშნულია მორიგი წლიური კრება, რომელიც 15 მარტისათვის იყო დანიშნული, ხოლო წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო არ შესდგა.

განსახილველია: 1. საბჭოს მოხსენება ანგარიშის შესახებ, 2. საბჭოს მოხს. თავისი მოქმედების შესახებ, 3. სარევიზიო კომ. მოხსენება, 4. 1917 წ. ანგარიში, 5. არჩევნები: გამგეობის წევრისა, ნაცვლად პ. გოთუასი; საბჭოს დეპუტატების, დ. ჩოლოყაშვილისა, ა. ბერულაშვილის და გარდაცვლილ ვ. მეჩაბლის ნაცვლად, და სარევიზიო კომ. სამი წევრისა და მათი სამი კანდიდატისა. 1—942—1

მომხმარებელ საზოგადოების

„დახმარების“

გამგეობა ამით აუწყებს საზოგადოების წევრებს, რომ თანახმად 4 აპრილის საზოგადო კრების დადგენილებისა კოოპერატივი „დახმარება“ შეუერთდა

კოოპერატივ „ივერიას“

და გაერთიანებული კოოპერატივი მოქმედებას დაიწყებს 15 აპრილიდან.

მთავარი მაღაზია მოთავსებული იქნება ერევნის მოედანზე, ყოფილ ძმ. ფორაქიშვილების მაღაზიაში, ხოლო განყოფილება—ოლღას ქუჩაზე,—იქ, სადაც დღეს იმყოფება „დახმარება“.

საზოგადო კრების დადგენილებით თითო წევრმა უნდა გადიხადოს 5 მ. საწევრო ფული და 50 მ. საპაიო გადასახადი. წინად მიღებული ფული ჩაითვლება ამ თანხაში, ისე რომ ვისაც გადახდილი აქვს 18 მანეთი, უნდა სასწრაფოდ შემოიტანოს დანარჩენი 42 მანეთი.

ფულის შეტანა და წევრად ჩაწერა შეიძლება დღეიდან ორივე ზემოხსენებულ მაღაზიაში. აგრეთვე: წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში (ივ. მაჩაბლიშვილთან) და გაზეთ „საქართველოს“ კანტორაში.

თბილისის ქართველ ვაჭართა და მრეწველთა აღმასრულ. კომიტეტი

უკანასკნელად მოაგონებს ბ.ბ. ვაჭარ-მრეწველთ, რომელთაც მიიღეს, საქართველოს ეროვნულ საბჭოს სასარგებლოდ, ერთ დროული გადასახადის უწყებები, დაუყოვნებლივ შემოიტანონ მათზე გაწერილი ფული. ხოლო ვინც რაიმე მიზეზის გამო უწყება არ ჩაუბარებია გთხოვთ მოიკითხოს ასეთი კომიტეტის მდივანთან (მიხეილის პროსპ. № 5 ა. ბერულაშვილის ღვინის საწყობი) დილის 10—12 საათამდე.

ფული ყველა ქართველ ვაჭარზე გაწერილი და უწყებით მიუღებლობა ვერ იხსნის მათ მოსალოდნელ პასუხის გებისაგან.

ვინც ერთი კვირის განმავლობაში, დღიდან ამის გამოცხადებისა, არ შემოიტანს ფულს, მათი სახელი და გვარი გაზეთებში გამოცხადდება და მათ წინააღმდეგ იქნება მიღებული შესაფერი ზომები.

3—941—2 აღმასრულებელი კომიტეტი.

თბილისის ეროვნ.-დემ. პარტიის მეორე უბნის კომიტეტის კრება

დანიშნულია კვირას, აპრილის 8-ს, დილის 11 საათზე, სამეურნეო ბანკის დარბაზში. დასწრება აუცილებლივ სავალდებულოა. 2—2

მარტის 20 გაიხსნა ახალი

სამკურნალო

ყოველგვარ ავადმყოფთათვის ექიმ ი. მ. მძინარიშვილის და ლ. მ. ნაზარბეტიანცის

საავადმყოფოში იღებენ კბილის საექიმო კაბინეტი ხელოვნურ კბილების ტექნიკურ ლაბორატორიით.

მიხეილის პროსპექტის და („კიროჩნი“ ქუჩ. კუთხე № 22 შესავალი კიროჩნი ქუჩიდან). ტელეფონი 10—87.

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღევის 3 ს-დე.

ვენერიულ ავადმყოფების მიღება—საღამოს 4-დან—8-მდის. ქალების და ბავშვების მიღება 4—5 საათამდე.

ღარიბები მიიღებიან კვირაობით, 10—12-მდე უფასოდ.

სამკურნალო კაბინეტი ექიმ

ალექსანდრე დავითის ძის კეკელიასი

იღებს კანის, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606-ს შეშხაპუნება) ავადმყოფთა მიღება ქალებისა და ბავშვებისთვის 4—5 დანარჩენები 5—8 საათამდე საღამოთი. მიხეილის პროსპექტი № 116 სასტუმრო „ნოეს“ პირდაპირ ტელეფონი 14—28.

დოქტორი მედიცინისა მოსე ანთიმოსის ძე

კალანდარიშვილი

უმცროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიული სნეულებიან ავადმყოფებს იღებს დილის 8—9-მდე საღამოს 5—7. ტელ. № 17—21.

ექიმი

გ. წინამძღვრიშვილი

ყ. ორდინატორი ხარკ. უნივ. და სამედიც. ინსტ-ის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა. **გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულებისანი სპეციალურად. იღებს:** დილით 10—12 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე, ყოველ დღე, გარდა კვირისა. ელისაბედის ქუჩა № 7, ვორონცოვის ძეგლის ახლო, სასტუმრო „ბონ-მონდის“ პირდაპირ. თ—1018—23

ექიმი

ნ. ი. მახვილაძე

იღებს სპეციალურად მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა (ხელოვნური პნევმოტორაქსი) ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავადმყოფთ ყოველ დღე დილით 11—12 საათამდე და საღამოთი 4—6 საათამდე. **მისამართი:** მოსკოვის ქ. № 11. თ—1536—14

ექიმი

დიმიტრი (რამინ) იოსების ძე

ყორდანია

სწამლობს შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობით, სიფილისი და მისი შედეგები, სისხლ ნაკლებობა, ქრონიკული მალარია და ქრონიკული ტრიპერი საღამოს 5—7 საათ. კვირის გარდა. გორის ქუჩა № 6, დიდუბე.

ტელეფონი 14—37

1თ—960—31

სტამბა „ცხოვრება“ ა. კალანდაძისა გაზეთების შესახვევი № 4.